ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №842157

ნომერი: AR1151957

თარიღი : 05.08.2013

გაცემის თარიღი : 12.08.2013

გაცნობის თარიღი : 14.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, , მაუდ-კამვოლის კომბინატ "საქართველო"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დემურ ცხოვრებაძე პ/ნ 01024020477
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 67

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. თეთრი სახლი კოდი: 202198068

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების გაერთიანება, ერთი მთლიანი აბრა მოეწყოს ღიობების თავზე, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული კარგი ხარისხის ფოტომონტაჟი, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფოტომონტაჟი"–ს გრაფაში დეტალურად მასალის, ფერის და გაბარიტული ზომების მითითებით, ხოლო მოთხოვნის შინაარსის ტექსტში მიეთითოს თუ რომელ (საკადასტრო გეგმის მიხედვით) შენობა ნაგებობაზე ხორციელდება აბრების მოწყობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.